ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #45

(გამარტივებული შესყიდვა, ზღვრების შესაბამისად)

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება, ,,კულტურის ცენტრი“ *შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველად” წარმოდგენილი* ***მისი დირექტორის ნატო შავიშვილის*** *და* ***შპს გორგია, წარმოდგენილი ხვიჩა პაპუნიძის*** *სახით, შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:*

1. ***გამოყენებული ტერმინების განმარტებები***

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – ,,ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. ,,მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,მომსახურება“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7.

ხელშეკრულების საგანი: ***მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება,,კულტურის ცენტრის“ მიერ კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული ხალხური რეწვის სტუდია– სახელოსნოსთვის საჭირო საფარდე ქსოვილის 15მ.; კულტურის ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ქ.მარნეულის კულტურის სახლის სახლის შემოქმედებითი ჯგუფის სივრცისთვის საჭირო ბარხატის საფარდე ქსოვილი 6მ; ფარდის ორიანი კარნიზი 3მ; ფარდის შპილკა 70ც; ფარდის ორიანი კარნიზის ჩამკეტი 2ც. ფარდა (კრეპი) 3მ..საჭირო ნივთების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კლასიფიკატორის კოდები : Cpv44115810, Cpv44115811, Cpv19244000, Cpv39515100.***

1.8. ხელშეკრულების ღირებულება: 459,25(ოთხარორმოცდაცხრამეტილარი,ოცდახუთითეთრი) ლარი

1.9. მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ინვოისში;

1.10. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

1.11. დაფინანსების წყარო – 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი;

2. მხარეთა უფლება–მოვალეობები:

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. მომსახურების გაწევა , საქონლის მიწოდება განახორციელდეს არაუგვიანეს 27ნოემბრისა.

2.1.2. მიწოდებელი ვალდებულია გაწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე–4 მუხლში;

2.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

2.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

2.2.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების ვადებისა და პირობების დაცვით.

2.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპეტირებას განახორციელებს შემსყიდველი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

*3.3. კონტროლს განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება,,კულტურის ცენტრის“ სპეციალისტი ფარილ მამედოვი.***

*3.4. **მიმწოდებელი** ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გაწულ მომსახურებაში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება დაუყონებლივ.*

4. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

*4.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება,,კულტურის ცენტრი“ს** დირექტორი **ნატო შავიშვილი.***

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

5.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3. ანგარიშსწორების ვადა – მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (მომსახურების მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–10 მუხლის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01%–ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

9.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. თითეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

10.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს–მაჟორი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

11.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შრმსყიდველი

მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო,საბიბლიოთეკო,სამუსიკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი'' ს/კ. 234233497.
მისამართი:ქ.მარნეული, რუსთაველის ქ. #108;

კულტურის ცენტრის დირექტორი

_____ ნატო შავიშვილი

Nato Shavishvili

Digitally signed by Nato Shavishvili
Date: 2022.05.30 12:59:30 +04'00'

მიმწოდებელი

შპს გორგია,ს/კ 245621288,
მისამართი:ქ. მარნეული
მომსახურე ბანკი: სს ,, თიბისი ბანკი,“,
ს/ა GE62TB1007536020100008

_____ხვიჩა პაპუნიძე

GORGIA

Подписано цифровой подписью: GORGIA
Дата: 2022.05.30 16:32:14 +04'00'